ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №492929

ნომერი: AR198978

თარიღი : 18.12.2012

გაცემის თარიღი : 08.01.2013

გაცნობის თარიღი : 09.01.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი გმირთა , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ამაშუკელი პ/ნ 01017037264
- თბილისი ალ.გრიბოედოვის ქ. N 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2012 წლის 18 დეკემბერს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თბილისის არქიტექტურის სამსახურს AR198978 ელექტრონული განცხადებით მომართა მოქალაქე ალექსანდრე ამაშუკელმა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვა ქალაქ თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, გმირთა მოედანი #1–სი არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.15.03.001.006 ბავშვთა და მოზარდთა სადღესასწაულო ცენტრის განთავსებისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

რადგან ტერიტორია მდებარეობს სახელმწიფო დაცვისა და ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში, საკითხი იქნა განხილული საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს – გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს სხდომაზე (დანართი: ოქმი #52 (25.12.12.)), რომლის დასკვნის შესაბამისად საკითხი გადაწყდა

უარყოფითად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თახმად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქალაქე ალექსანდრე ამაშუკელს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, გმირთა მოედანი #1–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.15.03.001.006 ბავშვთა და მოზარდთა სადღესასწაულო ცენტრის განთავსებისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.